პრესრელიზი

„ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე შექმნილი სამაგიდო თამაშების გამოფენა და შეჯიბრება

22 იანვარს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3) უმასპინძლებს ახალგაზრდა ხელოვანისა და ფილოლოგის, ლევან გელაშვილის მიერ შექმნილი სამაგიდო თამაშების გამოფენასა და შეჯიბრებას. ღონისძების ფარგლებში საგანგებოდ ერთი დღით გამოიფინება ე. წ. „წერეთლისეული“ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი. პარალელურად დაგეგმილია სხვადასხვა საბავშვო ინტერაქტივი.

გამოფენაზე სტუმრობა დამთვალიერებელისათვის შესაძლებელია 14:00 საათიდან, ხოლო ოფიციალური გახსნა დაგეგმილია 16:00 საათზე. გამოფენაზე დასწრება და აქტივობებში მონაწილეობა თავისუფალია; ხოლო, სამაგიდო თამაშების შეჯიბრებაში, რომელიც 16:30 საათზე იწყება, მონაწილეობენ მხოლოდ განსაზღვრული სკოლები - თბილისის N147 და ქ. გორის N9 საჯარო სკოლები. შეჯიბრება ჩატარდება რამდენიმე ტურად. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, რომელიც დააწესა ფონდმა ,,იავნანამ'' და, ასევე, სხვადასახვა საჩუქრები.

„ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე შექმნილი ხის სამაგიდო თამაშების გამოფენაზე დამთვალიერებელი იხილავს ოცზე მეტ სხვადასხვა სახეობის ხის სამაგიდო თამაშს.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ინტერაქტივი „გააფერადე „ვეფხისტყაოსანი“ განკუთვნილია ღონისძიების მცირეწლოვანი სტუმრებისთვის, რომლებიც შეძლებენ გააფერადონ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ხელნაწერების, ასევე, მიხაი ზიჩის მიერ შექმნილი ილუსტრაციები; ხოლო, აქტივობაში „გაფერადე ანბანი“ ჩართვა შეუძლია ნებისმიერი ასაკის მსურველს. მათ საშუალება ექნებათ საღებავებით შეღებონ თამარისა და „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის უნიკალური ხელნაწერების საზედაო ასოების მიხედვით მომზადებული ხის რეკვიზიტები. შეღებილი ასოები კი სურვილისამებრ გააფორმონ.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Tel: 598 848 488

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge